პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 4 ოქტომბერი, 1944 წ. № 201 (7154). ფასი 20 კაპ.

დავიცვათ სისუფთავე და წესრიგი საწარმოში

წითელ არმიას, ფრონტს უდიდეს დახმარებას უწევენ სოციალისტური მრეწველობა და ტრანსპორტი, მთელი საბჭოთა ზურგი.

თავის ისტორიულ მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავზე ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა ზურგის დახმარებას ფრონტისადმი და აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირის მუშებმა, რომლებმაც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში უაღრესად განვითარებული მძლავრი სოციალისტური მრეწველობა შეჰქმნეს, სამამულო ომის დროს დაძაბული და მჩქეფარე მუშაობა გაშალეს ფრონტის დასახმარებლად და ნამდვილ შრომითს გმირობას იჩენდნენ.“

წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებანი შეუძლებელი იქნებოდა, რომ მას მთელი საბჭოთა ხალხი არ უზმარებოდეს. მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, ინტელიგენციამ სამამულო ომის ვითარებაში უდიდესი შრომითი მამაცობა, სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის ღრმა შეგნება, უმაგალითო პატრიოტული აღფრთოვანება გამოიჩინა. ახლა ომი დასასრულს უახლოვდება. მაგრამ ფაშიზმის საბოლოოდ მოსპობისათვის საჭიროა კიდევ უფრო დაეძაბათ მთელი ჩვენი ძალები, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ფრონტისადმი დახმარება.

მრეწველობისა და ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა ნიშნავს წითელი არმიისადმი დახმარებას. რაც უფრო მეტ პროდუქციას დავამზადებთ, მით უფრო დავაჩქარებთ გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების საბოლოო განადგურების სასიხარულო ჟამს. მრეწველობის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა ბევრად არის დამოკიდებული საწარმოებში სისუფთავისა და წესრიგის ყოველდღიურ დაცვაზე. ამიტომ იყო, რომ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII კონფერენციამ ამ საკითხს სერიოზული ყურადღება მიაქცია და პარტიულ ორგანიზაციებს მოქმედების თართო პროგრამა დაუსახა. კონფერენციის დადგენილებაში ნათქვამია, რომ „პარტორგანიზაციები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გადასწყვიტონ საწარმოებში სისუფთავისა და წესრიგის დაცვის ამოცანა, როგორც ისეთი ამოცანა, რომელიც არავითარ გადადებას არ ითმენს.“

საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად დიდი მუშაობა ჩატარდა. სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფსიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ინტენსიურად მოჰკიდეს ხელი საწარმოებში სისუფთავისა და წესრიგის დაცვას.

მაგრამ ომის ოცდ ოცებში ბევრი ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელები, პროდუქციის გამოშვების გაზიდვებით ინტერესებული, ივიწყებდა საწარმოში სისუფთავის დაცვისათვის ზრუნვას. ისინი ფიქრობდნენ: ახლა ომია, ეზოდან ნაგვისა და ხარახურის გატანაზე დროს ვერ დავკარგავთ, ტრანსპორტსა და მუშახელს ამ საქმისათვის ვერ მოვაცდენთ. აი, დამთავრდება ომი, და მაშინ ნახეთ, ჩვენი ქარხნის ეზო სარკესავით დაიწყებს კრიალსო. ამ ამხანაგებმა დაიივიწყეს, რომ საწარმოში სისუფთავის დაცვა სეზონური საქმე როდია. იგი ყოველდღიურ მუშაობას მოითხოვს. უმისოდ წარმოუდგენელია საწარმოს ნორმალური მუშაობა. იქ, სადაც ჭუჭყია, აუცილებლად არის უნიათობა, მოშლილობა, შერყეულია დისციპლინა, არ არის წესრიგი. მაშასადამე, უსუფთაობა ფაბრიკაში, ქარხანაში, საამქროში, ეზოში ხელს უშლის, აბრკოლებს მუშაობას. და განა ცოტა მაგალითები ვიცით, რომ სისუფთავის დაცვისათვის ბრძოლის შესუსტებამ ნამდვილად შეუშალა ხელი საწარმოო გეგმების შესრულებას?

სულ ამ ცოტა ხნის წინათ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხანაში ასეთი სურათს წააწყდებოდით: ზოგიერთ საამქროში დაზგებს შორის იმდენი ნაგავი იყო, რომ მუშას თავისუფლად მოძრაობაც კი უჭირდა. თვით ქარხნის ეზოში დიდძალი ნაგავი დაგროვდა. ზოგან ფანჯრების მინები ისე დაბუჭულიანებული იყო, რომ საამქროებში სინათლე სრულიად არ შედიოდა. ბუნებრივია ეს ხელს შეუშლიდა ნორმალურ მუშაობას. მაგრამ ქარხნის სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. მათ მხოლოდ მაშინ მიიღეს ზომები, როცა საქმეში ზემდგომი ორგანოები ჩაერივნენ.

საწარმოებში, რკინიგზებზე საჭიროა შევქმნათ და ყოველდღიურად დავიცვათ სისუფთავე, წესრიგი. ყოველთვის კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ წარმოებაში ელემენტარული კულტურის უქონლად არ შეიძლება ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობის მიღწევა. სანიმუშო სისუფთავით უნდა გამოირჩეოდეს არა მარტო დაზგა, საამქრო საერთოდ, არამედ კედლებიც და ფანჯრებიც, იატაკიც და ჭერიც, მთელი საქარხნო შენობა, მთელი ეზო. საწარმოში სისუფთავეს უნდა იცავდის თვითეული მუშა-მოსამსახურე, საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი, მთელი კოლექტივი. მარტოოდენ „გენერალური დასუფთავება“ როდი კმარა. საჭიროა ყოველდღიურად დაიცვათ სისუფთავე და წესრიგი საწარმოებში.

სისუფთავე და წესრიგი საწარმოში ნიშნავს დისციპლინას, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, უზრუნველჰყოფს ფაბრიკისა თუ ქარხნის ნორმალურ მუშაობას. სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფსიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს. ჩაბინან მასში ოართო მასები, დაიცვან საწარმოებში სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი.

ბრძანებაღესება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მახარაძის რაიონის ბაილეთისა და ბოხვაურის სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ

გამოეყოს მახარაძის რაიონის გურიანთის სასოფლო საბჭოს სოფლები ბაილეთი, ახალსოფელი და ჭანიეთური და შეიქმნას მათგან ბაილეთის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბაილეთში.

გამოეყოს მახარაძის რაიონის მახარაძის სასოფლო საბჭოს სოფელი ბოხვაური და შეიქმნას ბოხვაურის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეზნაბაშვილი

1944 წ. 3 ოქტომბერი. ქ. თბილისი.

მედალი „კავკასიის დაცვისათვის“ გადაეცა ქუთაისის აბრეშუმკომბინატის მოწინავე ადამიანებს

(ქუთაისი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

2 ოქტომბერს ქუთაისის ვ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმკომბინატში მედლები „კავკასიის დაცვისათვის“ გადაეცათ მოწინავე ადამიანებს, რომლებმაც ომის დღეებში თავდადებული შრომით უზრუნველყვეს ყველა დავალების მაღალხარისხოვნად და გადამეტებით გაღიდება და ამრიგად მონაწილეობა მიიღეს კავკასიის დაცვის საქმეში.

მედლების გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გახსნა კომბინატის პარტბიუროს მდივანმა ამხ. კ. იოსელიანმა.

სხდომამ მქუხარე ტაშით და ხანგრძლივი ოვაციით საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია დიდი სტალინი, ანერეთვე ამხანაგები მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, ჟდანოვი, მიკოიანი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი, შჩერბაკოვი, ვოზნესენსკი, ჩარკვიანი და ბაქრაძე.

პრეზიდიუმში არიან საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომის მდივნები ამხ. ბ. ნარსია, ნ. სტურუა, ნ. კიკაჩეიშვილი, მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ლომიძე, საბჭოთა კავშირის გმირი პ. წიკარიძე, ორდენოსანი სტახანოველები ე. ჯანელიძე, ე. ბენიძე, დ. ბუმაგინა და სხვ.

მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ამხ. ა. ჩიქოკანი აქვეყნებს დაჯილდოებულთა გვარებს. მედლებს გადასცემს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბ. ლომიძე.

მედლით „კავკასიის დაცვისათვის“ კომბინატიდან დაჯილდოებულია 211 კაცი.

მედლები გადაეცათ საწარმოს წარჩინებულ ადამიანებს: ქვეოსტატებს გ. წითელაშვილს, ტ. ჯიმშელეიშვილს, დებს ელისაბედ და მარიამ რუბლიებს, ძაფს ამომღებ ნ. როგოჟკინას, თასოვან ხარატს პ. ჩიქვინიძეს, შვიდასოვან ხარატს პ. რობაქიძეს, და-ძმა თ. და ს. ლოსაბერიძეებს, ე. ჯანელიძეს, ე. ბენიძეს, დ. ბუმაგინას და სხვ.

მედლების გადაცემის შემდეგ ამხ. ლომიძემ დაჯილდოებულთ უსურვა მეტი ნაყოფიერი მუშაობა ფრონტის დასახმარებლად, ვერაგ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. დაჯილდოებულთა სახელით სიტყვებით გამოვიდნენ ოთხდაზგოსანი სტახანოველი ბ. ნიკოლეიშვილი, საქსოვი საამქროს უფროსი ამხ. ვ. მხრიანი და კომბინატის დირექტორი ამხ. დ. თოთიბაძე.

კომბინატის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება შეინარჩუნოს საკავშირო სახკომსაბჭოს და სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და იბრძოლოს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მოსაპოვებლად.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა, მოხერხებულად ჩატარებული სადესანტო ოპერაციის შედეგად, ბალტიის ზღვაში დაიკავეს კუნძული ხიუმა (დაგო).

ტურკის (დროგობიჩის ოლქის ქალაქი) სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და საინჟინრო ღობურებს, მთა-ტყიანი ადგილის ძნელ პირობებში ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები კალნე, ხუტარი, ტარნავკა, კლიმეცი, ვიზლუვი, ლავოჩნე, ოკოშეცი, რეშიტკა, როშანკა ნიჟნა, ვოლოსიანკა, როშანკა ვიჟნა, ელენკოვატე და რკინიგზის სადგურები ლავოჩნე, ბესკიდი.

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური რეგინი, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები იდიჩელი, დელენი, ალშოიდიჩი, ოროსუშალუ.

რუმინეთის ქალაქ ტიმიშოარის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით, დუნაის ჩრდილოეთ ნაპირზე, ჩვენმა ჯარებმა გადალახეს რუმინეთ-იუგოსლავიის საზღვარი, გასტეხეს გერმანელთა ჯარების წინააღმდეგობა და იუგოსლავიის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი პეტროვგრადი (ველიკი ბეჩკერეკი), ქალაქი და რკინიგზის კვანძი ვრაშაცი, ქალაქი ბელა ცრკვა, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კლეკი, ლაზარევო, იაშა ტომიცი, ულეა, იასენოვო, ვრაჩევ გაი და რკინიგზის სადგურები ალექსანდროვო, ლაზარევო, ხარჩა, ულმა, ვრაჩევ გაი, იასენოვო.

რუმინეთის ქალაქ ტურნუ-სევერინის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა იუგოსლავიის ტერიტორიაზე ბრძოლები დაიკავეს დასახლებული პუნქტები ტოპოლნიცა, კლოკოჩოვაცი, რუდნა გლავა, კლავნა, უროვიცა, სლატინა, იაბუკოვაცი, მალაია კამენიცა, დუალიანე, კარბულოვო, ტრნიანი, ბრესტოვაცი, სიკოლე, მეტრიუი, გლოგოვიცა, სალაში, დუბოჩანე, მალა იასიკოვა, კოკარეშნიცა, რგოტინა, ბელა რეკა.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ.

2 ოქტომბერს საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 11 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა დღეს დაიკავეს მოწინააღმდეგის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ბალტიის ზღვაში — კუნძული ხიუმა (დაგო). ჩვენი სადესანტო ჯგუფები, რომლებიც გუშინ დილას ჯავშანკატერებით მიეახლოვდნენ კუნძულს, გერმანელთა ძლიერ ცეცხლოვან წინააღმდეგობას შეხვდნენ. ჰაერიდან საიერიმო ფარტყმებით და ჯავშანკატერთა ცეცხლით ჩაჩუმებულ იქნა მოწინააღმდეგის საართილერიო და სანალმტყორცნო ბატარეები. საბჭოთა მეწინავე ქვეგანაყოფები გადასხდნენ კუნძულზე და გაიფთრებული ბრძოლის შედეგად ხელთ იგდეს პლაცდარმი. მალე პლაცდარმზე გადაიტანეს არტილერია, თვითმავალი ქვემეხები და გადაიყვანეს ქვეითი ჯარი. გუშინდელი დღის ბოლოს საბჭოთა ნაწილებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ 10-12 კილომეტრით კუნძულის სიღრმეში. ბრძოლები მთელ ღამეს გაგრძელდა. ჩვენმა ჯარებმა, განავითარეს რა შეტევა, დღეს საკვლევი გაათავისუფლეს კუნძული გერმანელ დამპყრობთაგან. ბევრი ჰიტლერელი ტყვეებში გაიქცა და მათ ახლა იჭერენ ჩვენი მებრძოლები. კუნძულ დაგოსათვის ბრძოლაში განადგურებულია მოწინააღმდეგის ქვეითი დივიზია და რამდენიმე საარტილერიო დივიზიონი. ხელთ ვიგდეთ დაგლა და ბევრი ტყვე.

* * *

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენმა ჯარებმა ამ დღეებში გადალახეს მდინარე მურეშული და ხელთ იგდეს პლაცდარმი ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე ქალაქ რეგინის ახლოს. მოწინააღმდეგე სერიოზულ მნიშვნელობას აძლევდა ამ ქალაქს, როგორც თავდაცვის დიდმნიშვნელოვან კვანძს, და გაფთრებით ცდილობდა უკუგდო ჩვენი ჯარები. ჰიტლერელებმა ბრძოლაში გამოიყენეს ამ რაიონში მოქმედი მთელი თავიანთი ძალები. მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა ტანკების დახმარებით არა ერთხელ მოიტანა კონტრიერიში საბჭოთა ნაწილების წინააღმდეგ, რომლთაც პლაცდარმი უკავიათ. ამასობაში ჩვენმა ჯარებმა მტრისათვის მოულოდნელად სხვა ადგილას გადალახეს მდინარე მურეშული და რეგინის ჩრდილოეთ გარეუბნებს მიადგნენ. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ბრძოლებით მიიწევდნენ წინ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური რეგინი. განაგრძობდა გერმანელთა 46-ე ქვეითი და მე-4 სამთო-მსროლელი დივიზიები და ენგრელთა კორპუსის ნაწილები. ხელთ ვიგდით დიდი დავლა, მათ შორის რამდენიმე საწყობი საომარ მასალიანად.

* * *

ქალაქ ტიმიშოარის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე დუნაის ჩრდილოეთ ნაპირზე, ჩვენმა ჯარებმა გადალახეს რუმინეთ-იუგოსლავიის საზღვარი. წითელი არმიის ნაწილებმა სწრაფად დაარტყეს მტერს, გასტეხეს მისი წინააღმდეგობა და გადასჭრეს ბელა ცრკვა-ვრშაცის გზატკეცილი. და რკინიგზა. განავითარეს რა წარმატება, ჩვენმა ჯარებმა სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოვლით, გაფთრებული ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ქალაქი ბელა ცრკვა. საბჭოთა ნაწილებმა არ მისცეს მტერს საშუალება გონს მოსულიყო და გადაეჯგუფებინა თავისი ძალები და დაიკავეს ქალაქი ვრშაცი — კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი. ამ ქალაქში თავს იყრის 5 რკინიგზა და 3 გზატკეცილი. სხვა ჩაენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს 35 კილომეტრით და დაიკავეს გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი ქალაქი პეტროვგრადი (ველიკი ბეჩკერეკი), რომელიც 60 კილომეტრზე მდებარეობს იუგოსლავიის დიდაქალაქ ბელგრადის ჩრდილოეთით. განადგურებულია გერმანელთა 94-ე და მე-18 მოტობრიგადების ნაწილები. არასრული ცნობებით, ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

რუმინეთის ქალაქ ტურნუ-სევერინის სამხრეთით იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩვენი ჯარები, რომელნიც მთა-ტყიან ადგილის ძნელ პირობებში მოქმედებენ, შეტევას განაგრძობენ. მოწინააღმდეგის ალპისა და სამთო-მსროლელი დივიზიები, რომლებიც სასწრაფოდ გადმოიყვანეს ამ უბანზე, შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევენ. საბჭოთა მებრძოლებმა, რომლნიც მეედრად მიიწევენ წინ, განდევნეს ჰიტლერელები მთელი რიგი სიმაგრეებიდან. 5 შენაერთის ნაწილებმა ორი დღის ბრძოლების განმავლობაში გაჟლიტეს 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. გერმანელებს წაავართვეს თვითმფრინავი, 60 ავტომანქანა, 24 სარკინიგზო ვაგონი ტვირთიანად და ბევრი საჭურველი. სხვა ჩვენი შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს 10 კილომეტრამდე და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. იუგოსლავიის მოსახლეობა სიხარულით ეგებება წითელ არმიის ნაწილებს, რომლებმაც გაათავისუფლეს იგი ფაშისტური მონობისაგან.

* * *

ბელორუსიის 1-ლ ფრონტზე ჩვენმა მზვერავმა თვითმფრინავებმა ერთ რაიონში აღმოაჩინეს მოწინააღმდეგის თავმოყრილი ჯარები და ტექნიკა. მოიერიშეთა ჯგუფი ლეიტენანტ სკრიტსკის მეთაურობით საიერიშოდ გაფრინდა. გერმანელთა ოთხმა ავიაგამანადგურებელმა ს

სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი ყოველ ფაბრიკაში, ყოველ ქარხანაში!

„პარტორგანიზაციები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გადასწყვიტონ საწარმოებში სისუფთავისა და წესრიგის დაცვის ამოცანა, როგორც ისეთი ამოცანა, რომელიც არავითარ გადადებას არ ითმენს. სისუფთავისა და წესრიგის უქონლად წარმოუდგენელია თანამედროვე საწარმოს ნორმალური მუშაობა. ქარხანაში, ფაბრიკაში, რკინიგზაზე ჭუჭყი უნიათობის, დისციპლინის შერყევის, მოშლილობის, წესრიგის უქონლობის აუცილებელი თანამგზავრი და წყაროა. წარმოებაში ელემენტარული კულტურის უქონლად არ შეიძლება ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობის უზრუნველყოფა“.

საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის რეზოლუციიდან.

მთელი კოლექტივის ღირსების საქმე

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ვეებერთელა ტერიტორიაზე სულ ცოტა ხნის წინათ ყველგან ნაგვის გროვა იდგა. საამქროებში ჭუჭყი და სიბინძურე იყო. ხშირად საამქროებში დაზგებს შუა იმდენი ნაგავი გროვდებოდა, რომ მუშას თავისუფლად მოძრაობა უჭირდა.

ამწყობი საამქროს შესავალ კართან იმდენი ლითონის ჯართი, ბურბუშელა და ნაგავი იყო დაგროვილი, რომ მუშები ძლივს შედიოდნენ საამქროში. შემდეგში მარტო ამ ნაგვის გატანას 12 დიდი ვაგონი დასჭირდა.

დიდძალი ნაგავი ეყარა ქარხნის ცენტრალური კორპუსის წინ მდებარე ტერიტორიაზე. ასეთივე მდგომარეობა იყო მე-13 და 25-ე საამქროებს შუა, ხოლო სახარატო საამქროს ტერიტორიაზე აღებული ნაგვის ქვეშ დამარხული აღმოჩნდა რამდენიმე ათასი მანეთის ორთქლმავლის ვარგისი სათადარიგო ნაწილები.

ასეთ უმსგავსოებას გულდამშვიდებით უცქეროდნენ ქარხნის ხელმძღვანელები.

რამდენიმე ხნის წინათ დაიწყო ქარხნისა და მისი ტერიტორიის დასუფთავება. შექმნილია საქარხნო კომისია, რომელიც დასუფთავებას ხელმძღვანელობს (კომისიის თავმჯდომარეა ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსი ამხ. ლ. სტვილია). შედგენილია დასუფთავების გეგმა და გრაფიკი. ქარხნის ტერიტორია დაყოფილია 20 უბნად. ამკამად ქარხნის ტერიტორიიდან უკვე გატანილია 80 ვაგონზე მეტი ნაგავი. მთლიანად გაწმენდილია ქარხნის სამმართველოს წინ მდებარე ტერიტორია, საიდანაც გატანილ იქნა 15 ვაგონი ჯართი. მიმდინარეობს ამ ადგილის მოასფალტება, საამქროებში და მის ტერიტორიაზე სისუფთავისა და წესრიგის აღდგენის სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობენ სახალხო ვაგონების, უტილნედლეულის და სატენდერო საამქროთა ხელმძღვანელები ამხ. ვ. რაჭველიშვილი, პ. ღვაბერიძე და გ. დაშნიანი.

ამწყობი საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ამხ. ე. ნეფარიძე) სპეციალურად განიხილა საამქროში სისუფთავის აღდგენისა და მაღალი საწარმოო კულტურის დანერგვის საკითხი. ბრიგადებში გაწმენდილი შეჯიბრება სისუფთავის დაცვისათვის. გაჩაღებულია საagიტაციო-მასობრივი მუშაობა.

რა ნაკლია ამ მუშაობაში? არ იცავენ შედგენილ გრაფიკს. დასუფთავებაში ჩაბმული არ არის მთელი კოლექტივი. ამიტომ ჯერ სანახევროდაც არ არის გაწმენდილი ქარხნის ტერიტორია ხარახურისა და ჯართისაგან. საამქროებში კვლავ ჭუჭყი და სიბინძურეა.

სამშენდლო და საქვაბე საამქროებში გაწმენდილ ტერიტორიაზე ხელახლა ჯერიან ნაგავს. საამქროთა ხელმძღვანელები გოგიჩეიშვილი და კანტკოვი ზომებს არ იღებენ.

ქარხნის მთელი კოლექტივის ღირსების საქმეა საწარმოს ყველა უბანზე დაამყარონ სანიმუშო სისუფთავე, დანერგონ მაღალი საწარმოო კულტურა, პრაქტიკულად განახორციელონ საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებანი. სისუფთავის დასამყარებლად, მაღალი საწარმოო კულტურის დასანერგავად გაჩაღებულ მუშაობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ ქარხნის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

ა. ნინუა

მუშაობა ნაყოფიერიცაა და სახალისოც

შედიზარ თბილისის № 4 პურისსაცხობი შექანიკური ქარხნის საამქროებში და გიხარია: ყველგან, ყოველ კუნჭულში წესრიგი და სისუფთავეა.

მუშები სამუშაოზე გამოცხადებისთანავე იღებენ სუფთა წინსაფარს. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ყველანი ვალდებული არიან დაიბანონ ტანი. საამისოდ ქარხანაში არის კეთილმოწყობილი აბანო. ყველა ცვლა ვალდებულია შემცველ ცვლას ჩააბარის საამქრო რეჟიმში აღნიშნული წესების მიხედვით, ზედმიწევნით სუფთა მდგომარეობაში.

ამ წესს აქ ზუსტად იცავენ. პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. გ. თვარაძე) თვალყურს ადევნებს ამას.

ქარხანაში თითქმის ყველაფერს მანქანა ასკვეთებს, ფქვილის გაცრით დაწყებული, ვიდრე გამომცხვარი პურის მიღებამდე. პურის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დაცვაზე. ქარხნის ლაბორატორიაში განუწყვეტლივ არიან თეთრხალათიანი ლაბორანტები, რომელნიც ითასგვარი იარაღებით სინჯავენ ფქვილს, ცომს, გამომცხვარი პურის ჭაშნიკებს, ამოწმებენ პურის სინესტეს, ფორიანობას, ხარისხს. ნაკლოვანებები სწორდება დაუყოვნებლივ და გამომცხვარი პური ყოველთვის მაღალი ხარისხისაა.

№ 17 პურისსაცხობი (გამგე ამხ. კ. ცხვირაშვილი) მოთავსებულია უბრალო დარაბაში. ერთი შეხედვით თითქოს აქ ძნელია სისუფთავის დაცვა, მაგრამ სწორედ ამ პატარა საწარმოს მაგალითზე შეიძლება ნაჩვენები იქნას, თუ რა ბევრი რამ არის დამოკიდებული ადამიანებზე, მათს მუყაოთ შრომაზე, საქმისადმი სიყვარულზე.

მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისა, სისუფთავის დაცვისა და დავალებათა სისტემატურად გადაჭარბებით შესრულებისათვის ჯერ კიდევ 1942 წელს საცხობს მიღებული აქვს გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც დღემდე მტკიცედ ინარჩუნებს.

საქმე ის არის, რომ აქ, გამგით დაწყებულ დამლაგებლებამდე, ყველა მუშაკი გულისხმიერად ეკიდება თავის მოვალეობას, სიყვარულსა და მონდომებას იჩენს თავისი საქმისადმი.

ამ საცხობში ვერსად იპოვნით მტვრის და ჭუჭყის ნასახს. მუშა-მოსამსახურეები ყოველთვის თეთრ, სუფთა ხალათებს ატარებენ, თავზეც თეთრი ქუდები ხურავთ. მუშებს აკრძალული აქვთ საამქროებში შესვლა სახლიდან მოსული ფეხსაცმლით. საამქროში შესასვლელად და იქ მუშაობისათვის აქ შემოღებული აქვთ სპეციალური ქოშები, რომლის ტარება ჰიგიენურად ყოველმხრივ გამართლებულია.

ასეთ პირობებში მუშაობა სახალისოცაა და ნაყოფიერიც.

ეს ორი საწარმო ყველთვის საამაყო მაჩვენებლებს აღწევს, გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს, სისტემატურად მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს, ამავე დროს იძლევა ფქვილისა და საფუვების დიდ ეკონომიას.

№ 4 ქარხანამ აგვისტოს გეგმა 182,6 პროცენტით შეასრულა. ქარხნის მოწინავე ადამიანები ენერგიულად იბრძვიან საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. ფართოდ არის დანერგული შეჯიბრება პროფესიათა მიხედვით. ერთმანეთს ეჯიბრებიან: მცომავები, საფუარის მხარშველები, პურისმცხობლები.

წინ მიდის ახალგაზრდული ფრონტული ბრიგადა, რომელსაც კვების მრეწველობის წარჩინებულის ნიშნოსანი ამხ. ა. მელქოიანი ხელმძღვანელობს.

პურისმცხობლთა შორის მოწინავეა კვების მრეწველობის წარჩინებულის ნიშნით დაჯილდოებული ამხ. ი. გორგაძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 150-200 პროცენტით ასრულებს და მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს.

მოწინავეთა შორის აგრეთვე აღსანიშნავი არიან: რ. შენგელია, ფ. ფანცულაია და მ. მუხიგულაშვილი.

კ. შარვანიძე

ნაბიჯი გადადგმულია

(კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა)

საქარხნო პარტიულმა ორგანიზაციამ სპეციალურად განიხილა სისუფთავის დაცვის საკითხი და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ახლა სისუფთავისათვის ბრძოლაში ჩაბმულია ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მთელი კოლექტივი.

პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურად ამოწმებენ საამქროებში სისუფთავის დაცვის მდგომარეობას და ეხმარებიან საამქროთა ხელმძღვანელებს ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

სისუფთავის დაცვის მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა № 23 საამქრო, რომელსაც ამხ. კ. სპიკინი ხელმძღვანელობს. ამ საამქროს დღეში 4-5-ჯერ ასუფთავებენ. დაზგა-დანადგარები ყოველთვის წესიერულ მდგომარეობაშია.

ასევე სანიმუშოდ იცავენ სისუფთავეს ამწყობ (უფროსი ამხ. მ. წეროძე, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ვ. ფარცხალავა), საინსტრუმენტო (უფროსი ამხ. პ. გულეცი, პროფორგანიზატორი ამხ. ნ. შლიაფაევი), ელექტრო (უფროსი ამხ. ვ. შალამბერიძე) და სამჭედლო-თერმიულ, (უფროსი ამხ. გ. იამჯიანი, პროფორგანიზატორი ამხ. დ. წულაია) საამქროებში.

ჭუჭყს კვლავ შეხვდებით № 12 საამქროში, სადაც უფროსად კ. დავითაშვილი და პარტორგანიზაციის მდივნად ვ. ბაღდასაროვი მუშაობენ. ამ საამქროში დგას დაზგა, რომელიც გაპიროვნებული არ არის. ამ დაზგაზე მუშაობს ყველა, მაგრამ მას არავინ უვლის, არავინ სწმენდს. ხარატი ა. იაკენკო ჭუჭყიან დაზგაზე მუშაობს.

ქარხანაში სისუფთავის დამყარებისათვის ნაბიჯი გადადგმულია. ნაწილობრივ გასუფთავებულია ქარხნის შენობა, საამქროები, დაზგები, ეზო, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

ა. დუნიაშვილი

ხაბჭოთა კავშირის გმირი ლიუდმილა პავლიჩენკო ესტუმრა ოდესის მშრომელთ. ამ ქალაქის დაცვისათვის ბრძოლებში პავლიჩენკომ დაიწყო ჰიტლერელ დამპყრობლებზე შურისძიების თავისი ანგარიში. სურათზე: საბჭოთა კავშირის გმირი ლ. პავლიჩენკო ოლქის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში.

ფოტო ვ. ლოსინისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

მოინონეს კალინინელ კოლმეურნეთა მიმართვა

ქასპი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ქასპის კოლმეურნეობა „ძმობაში“ განიხილეს სარატოვის ოლქის ვოსკრესენსკოეს რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიმართვა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. საერთო კრებაზე კოლმეურნეებმა ერთსულოვნად დადგენილება მიიღეს ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიად დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავს.

კოლმეურნეობამ იკისრა საშემოდგომო კულტურების თესვა დაამთავროს 1 ნოემბრამდე, ნიადაგის მზრალად მოხვნა — 5 ნოემბრამდე, ბოსტნეულის მოსავლის აღება—15 ოქტომბრამდე, საქონლის სადგომების შეკეთება — 1 ნოემბრამდე.

წელს აქ სამინდისა და შაქრის ჭარხლის უხვ მოსავალს იღებენ. კოლმეურნეებმა გადასწყვიტეს უმოკლეს ვადებში და უდანაკარგოდ აიღონ მთელი მოსავალი, კერძოდ — სამინდის მოსავლის აღება დაამთავრონ 20 ოქტომბრამდე, ხოლო შაქრის ჭარხლის ამოღება და გადაზიდვა 5 ნოემბრამდე.

კოლმეურნეთა კრებაზე სიტყვით გამოვიდა ბრიგადიერი გ. კიტრიაშვილი, რომელმაც განაცხადა: ვალდებულება ვასრულოთ უანლოდ დღეებში დავამთავროთ საკვების მიზიდვა პირუტყვის საზამთრო სადგომებთან, მთლიანად შევინარჩუნოთ ნამატი და საქონლის სადგომების რემონტი დავამთავროთ 15 ოქტომბრამდე.

ბრიგადიერმა მ. კიტრიაშვილმა პირობა დასდო საშემოდგომო ხვნა-თესვა დაამთავროს 25 ოქტომბრამდე, სიმინდის მოსავლის აღება კი 15 ოქტომბრამდე.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს ვ. ჭელიძემ, ი. ბაინდურაშვილმა, ა. ყაზარაშვილმა და მ. ბერიანიძემ.

ი. გუჯალაძე

ახალი შრომითი აღმავლობა

მცხეთა, 3 ოქტომბერი. სარატოვის ოლქის ვოსკრესენსკოეს რაიონის კალინინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეთა მიმართვამ ყველა კოლმეურნისადმი—ჩაებან საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში — ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია რაიონის კოლმეურნეთა შორის. ავიტატორები აცნობდნენ კოლმეურნეებს მიმართვის ტექსტს, რაიონის კოლმეურნეები, ეცნობიან რა კალინინელთა მიმართვას, კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ. სოფელ მუხრანის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ ამხ. ს. პაპაშვილმა განაცხადა:

წითელი არმიის გმირული გამარჯვებებით აღფრთოვანებულნი ჩვენი არტელის კოლმეურნეები ენერგიულად შრომობენ, რათა მთელი საშემოდგომო სამუშაოები დაამთავრონ მაღალხარისხოვნად და მოკლე ვადებში. კოლმეურნეობამ ვადამდე დაამთავრა თავთავიანი კულტურების მოსავლის ღერწვა და მთლიანად შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ვალდებულება. კოლმეურნეები გაძლიერებული ტემპებით აწარმოებენ საშემოდგომო ხვნა-თესვას. კალინინელთა მომართვის პასუხად ჩვენ ვალდებულებას კისრულობთ საშემოდგომო ხვნა დავამთავროთ 15 ოქტომბრისათვის, თესვა 20-ისათვის, 5 ოქტომბრისათვის შევასრულოთ ბოსტნეული კულტურების ჩაბარების გეგმა და 20 ოქტომბრისათვის დავამთავროთ სამინდის მოსავლის აღება.

ოზურგეთი, 3 ოქტომბერი. ოზურგეთის ოლქის ბაზიანის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა ამ ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში ადრეულ ბოსტნეულ კულტურებს ბაზიანის ბაღებში ბოსტნეულ ნარგავებს ბაზიანის ბაღებში ბოსტნეულ ნარგავებს ბაზიანის ბაღებში ბოსტნეულ ნარგავ